967

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 2 (313)

1967 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (313) თებერვალი 1967 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

240. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ.

241. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1966 წლის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შედეგების შესახებ.

242. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ქუთაისში, გურჯაანისა და თეთრიწყაროს რაიონებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

243. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგეჭკორის, ლაგოდეხისა და წყალტუბოს რაიონებში საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ.

244. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ.

245. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების და მათთვის ჯილდოების ჩაბარების 1966 წლის შედეგების შესახებ.

246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ფ. ჩხეიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

247. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. სორდიას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

განყოფილება მეორე

248. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მხახიობთათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

სსრ. სახ.

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

249. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ-ის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

250. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ბ. პტიცისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

251. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ვ. ერმაკოვასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

252. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. გიგოლაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

253. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

254. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

255. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

256. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. აღაპიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

257. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

258. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

259. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

260. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

261. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ბ. კოტელნიკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

262. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ბ. ლისინოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში.

საინფორმაციო ცნობა.

მუხ. 240/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

240 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებანი:

1. კოდექსის 85-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9) სარჩელზე იმ პირთან განქორწინების შესახებ, რომელიც აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად ან არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხეს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არა ნაკლებ სამი წლისა), სახელმწიფო ბაჟი გადახდება იმ ოდენობით, რაც დაწესებულია არაქონებრივი ხასიათის სარჩელისათვის. ასეთ შემთხვევაში, განქორწინების მოწმობის გაცემისას არ უნდა გადახდეს საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 29-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული თანხა 50 მანეთიდან 200 მანეთამდე“.

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 124^1 მუხლი:

„მუხლი 124^1. **განქორწინების საქმეთა განსჯადობა**

სარჩელს განქორწინების შესახებ განიხილავს სასამართლო, მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მეუღლეები ერთად არ ცხოვრობენ, საქმეს განიხილავს სასამართლო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც საშუალებას არ აძლევს მას გამოცხადდეს სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე როდესაც მოპასუხე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად, ან არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, ან მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა), შეიძლება საქმე განიხილოს სასამართლომ მოსარჩლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სარჩელი განქორწინების შესახებ შეიძლება განიხილოს სასამართლომ ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუ ამას ითხოვს ორივე მეუღლე.

სარჩელი იმ პირთან განქორწინების შესახებ, რომელიც აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად ან არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოში განიხილება მოპასუხის **გამოუძახებლად**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩელი იმ პირთან განქორწინების შესახებ, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა), განიხილება მოპასუხისათვის წერილობითი შეტყობინების აუცილებელი გაგზავნით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ჟორჟენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავამბაძე.

თბილისი, 1967 წლის 16 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

241 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1966 წლის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივმა საბჭოებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რის შედეგად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

საბჭოების აღმასკომები უფრო ღრმად წვდებიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა აქტუალურ საკითხებს, განსაკილველად შეაქვთ ისინი სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მაღალ ორგანიზაციულ დონეზე და ძირითადად კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ხდება სესიების ჩატარება, რომლის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

გაუმჯობესდა კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე. აღმასკომები რეგულარულად ამოწმებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს მათ შესასრულებლად.

გაუმჯობესდა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების საქმე. გასულ წელს, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა 96 პროცენტმა ჩაბარა ანგარიში ამომრჩევლებს. დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარებისა და ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელების საქმე კარგად არის დაყენებული მახარაძის, გორის, თელავის, სამტრედიის, წულუკიძის, გეგეჭკორის, კასპის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და დეპუტატები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების ხელმძღვანელობით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ქალაქების, დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ იმ საკითხების მომზადებაში, რომლებსაც იხილავენ სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე, გამოდიან მოხსენებებით ან თანამოხსენებებით, და აგრეთვე, პერიოდულად ანგარიშს აბარებენ შესაბამის საბჭოს სესიას. 1966 წელს ადგილობრივი საბჭოების 6.209 მუდმივი კომისიიდან სესიებს ანგარიში ჩააბარა 4397 კომისიამ, ანუ 71 პროცენტმა. კომისიებმა სესიებსა და აღმასკომების სხდომებისათვის მოამზადეს 22.210 საკითხი. მუდმივი კომისიების მუშაობაში ჩაბმულია 44 ათასამდე აქტივისტი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუდმივი კომისიების საქმიანობაში. კარგად მუშაობს ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის საქალაქო, აგრეთვე მაიაკოვსკის, ახალციხის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წითელწყაროს, წყალტუბოს, ცაგერის, ზესტაფონის და სხვა რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიები.

საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, შესამჩნევად გაუმჯობესდა საბჭოების მუშაობა თერჯოლის, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, ონის, ჩხოროწყუს, ბორჯომის, მარნეულის, ზუგდიდის და სხვა რაიონებში.

1966 წელს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომების 98,9 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა შესაბამისი საბჭოს სესიას, ხოლო მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა აღმასკომების 89 პროცენტმა.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოების საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების გასაფართოებლად. რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია 141 შტატგარეშე განყოფილება, რომლებშიც გაერთიანებულია 836 აქტივისტი; გარდა ამისა, აღმასკომსა და მათ განყოფილებებში მუშაობს 4.798 ინსტრუქტორი და ინსპექტორი.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში შემცირდა სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევები, ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი კვლავ არღვევს სესიების ჩატარების აღნიშნულ ვადებს (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თეთრიწყაროს, დუშეთის და სხვა რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭო).

ადგილობრივი საბჭოების 1080 აღმასკომიდან შესაბამისი საბჭოს სესიისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 12 აღმასკომს, ხოლო მოსახლეობისათვის 216-ს ანუ 22,6%-ს. მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმე არადამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული თელავის, ყვარლის, თერჯოლის და სხვა რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი დეპუტატებს არ უწევს საკმარის დახმარებას, რის გამოც დეპუტატთა გარკვეული ნაწილი ვერ ხვდება ამომრჩევლებს და არ აბარებს მათ ანგარიშს; საანგარიშო პერიოდში 47.163 დეპუტატიდან ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 1.880 ანუ დეპუტატების 3,9%-ს. ახალქალაქის სასოფლო საბჭოების 696 დეპუტატიდან ანგარიში არ ჩაუბარებია 97-ს, მარნეულის სასოფლო საბჭოების 721 დეპუტატიდან—80-ს, დუშეთის სასოფლო საბჭოების 447 დეპუტატიდან — 45-ს, ხოლო რუსთავის საქალაქო საბჭოს 247 დეპუტატიდან — 42 დეპუტატს.

დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე გარდაბნის, ყაზბეგის, ბოგდანოვკის, ხობის და სხვა რაიონში.

ზოგიერთ რაიონში დარღვეულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევის შესახებ; 472 გასული დეპუტატის ნაცვლად, შესაბამის საარჩევნო ოლქებში არჩეულ იქნა მხოლოდ 279 დეპუტატი. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ აჭარის და აფხაზეთის ასსრ-ს, ბოგდანოვკის, მარნეულის და თეთრიწყაროს რაიონების ადგილობრივ საბჭოებში.

არის შემთხვევები როცა აღმასკომის თავმჯდომარის, მისი მოადგილის და მდივნის მოვალეობას აკისრებენ არადეპუტატს.

ნაკლოვანებებია ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისიის მუშაობაში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს 11 მუდმივი კომისიიდან, საანგარიშო პერიოდში, არც ერთი საკითხი არ მოუმზადებია 9-ს, რუსთავის საქალაქო საბჭოს 11 მუდმივი კომისიიდან — 4-ს, დმანისის რაიონული საბჭოს 9 კომისიიდან — 3-ს. სუსტად მუშაობენ საჩხერის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონული და დმანისის სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიები.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას. აღმასკომებსა და სესიებზე ნაკლებად ხდება ორგმასიური მუშაობის საკითხების განხილვა. და რაც მთავარია, ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე ქვემდგომი საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკებისა და მუდმივი კომისიის თავმჯდომარეების სწავლებისა და მათზე პრაქტიკული დახმარების გაწევის საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააუჯობესონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რათა უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამ მიზნით:

ა) ზუსტად დაიცვან საბჭოების სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადები, სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე სისტემატურად განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხების მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. მიიღონ საჭირო ღონისძიებანი სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. დეპუტატების საშუალებით მოსახლეობას გააცნონ სესიების და აღმასკომების გადაწყვეტილებები და უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა ამ გადაწყვეტილებების შესრულებაში;

ბ) დროულად მიაწოდონ დეპუტატებს საცნობარო მასალები საბჭოების მუშაობის შესახებ. ზუსტად დაიცვან კონსტიტუციის მოთხოვნა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების შესახებ და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებაში. გულისხმიერად შეისწავლონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებები და მიიღონ ზომები მათ შესასრულებლად;

გ) მტკიცედ დაიცვან წესი, რომ აღმასკომმა ყოველ სესიაზე მოახსენოს დეპუტატებს თუ როგორ სრულდება წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებები. დეპუტატთა მიერ შეტანილი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები. უზრუნველყონ, რომ აღმასრულებელი კომიტეტები პერიოდულად ანგარიშს აბარებდნენ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ შესაბამის საბჭოს სესიას და მოსახლეობას;

დ) გააძლიერონ მუდმივი კომისიების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მუდმივი კომისია აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს პრაქტიკულ საქმიანობაში. ამზადებდეს საკითხებს სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველად და თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებდეს საბჭოებს;

ე) მტკიცედ დაიცვან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ და, როგორც წესი, არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების არჩევით თანამდებობებზე ისეთი პირების არჩევა, რომლებიც შესაბამისი საბჭოს დეპუტატები არ არიან;

ვ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება ქვემდგომი საბჭოებისადმი. უზრუნველყონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, პერიოდულად მოიწვიონ აღმასკომთა თავმჯდომარეების და მდივნების თათბირ-სემინარები და მიაღწიონ მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

2. საოლქო, საქალაქო, სარაიონო, სადაბო და სასოფლო საბჭოებმა გააკუთრებული ყურადღება მიაქციონ ოქტომბრის რევოლუციის 50-წლისთავთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, სოფლებისა და ქალაქების კეთილმოწყობისა და სხვა კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

ამ დიდ, სახალხო მნიშვნელობის საქმიანობაში ფართოდ ჩაებან საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბაღათურია) უფრო მეტი პრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკული დახმარება აღმოუჩინოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 16 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

242 ქალაქ ქუთაისში, გურჯაანისა და თეთრიწყაროს რაიონებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ქუთაისის საქალაქო, გურჯაანის და თეთრიწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. უ. ცქვიტინიძის, რ. ნასარიძის, და ე. ელბაქიძის მოხსენებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ქალაქ ქუთაისში, გურჯაანისა და თეთრიწყაროს რაიონებში სერიოზული მუშაობაა გაწეული არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის. დებულებით გათვალისწინებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები და საოლქო საარჩევნო კომისიები, აგრეთვე რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისიები და საარჩევნო უბნები.

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები ძირითადად მოთავსებულია შესაფერის შენობებში და უზრუნველყოფილი არიან არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციით, აქვთ კონსტიტუციის ახალი გამოცემა, არჩევნების დებულებები, პლაკატები, საარჩევნო ლიტერატურა და სხვა. მშრომელთა მაღალი აქტივობის ვითარებაში ტარდება კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზეც ასახელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

ქალაქ ქუთაისში შეიქმნა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების 300 საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონში — 988 და თეთრიწყაროს რაიონში — 651.

გურჯაანისა და თეთრიწყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ჩაატარეს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების საინსტრუქტაჟო თათბირი, ხოლო ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოაწყო საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისათვის ლექცია-მოხსენებები საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპების საკითხებზე.

მუნ. ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო, გურჯაანისა და თეთრიწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში გაანნიათ ზოგიერთი ნაკლოვანებანი.

შემოწმების დღისათვის ზოგიერთი ამომრჩეველთა კლუბი და საარჩევნო ოლქი არ იყო სათანადოდ მოწყობილი და გაფორმებული, ხოლო კომისიებს შედგენილი არ ჰქონდათ სამუშაო გეგმები და კომისიის წევრებს შორის განაწილებული არ იყო ფუნქციები. შექმნილი საარჩევნო უბნების ნაწილი უზრუნველყოფილი არ იყო სატელეფონო კავშირით.

შემოწმებით გამოირკვა, აგრეთვე, რომ ზოგიერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ჯერ კიდევ არ შედგომიან მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას, ამომრჩეველთა შორის საუბრების, კითხვა-პასუხის აღებისა და კონსულტაციების მოწყობას. აღნიშნული რაიონების ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ ნაკლებია ადგილობრივი ინტელიგენციის მონაწილეობა ამ დიდ პოლიტიკურ ღონისძიებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო, გურჯაანის და თეთრიწყაროს რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გაძლიერონ მუშაობა არჩევნებისათვის მზადების საქმეში, ამ მიზნით:

ა) მტკიცედ დაიცვან არჩევნებისათვის მზადების ვადები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებებით;

ბ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საუბნო საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, კომისიის წევრებს ჩაუტარონ სათანადო ინსტრუქტაჟი ხმის მიცემის ოქმებისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტების სწორად შევსების შესახებ. მიაღწიონ იმას, რომ ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილ იქნას გათბობა-განათებით, სატელეფონო კავშირით;

გ) დებულებით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყონ საარჩევნო უბნები საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებით;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას; მიაღწიონ იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ყველა მოქალაქემ, ვისაც ხმის მიცემის უფლება აქვს. დაუყოვნებლივ განიხილონ არჩევნების საკითხებთან დაკავშირებული მშრომელთა განცხადებები და მისცენ მათ ამომწურავი პასუხი;

ე) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და პრესის საშუალებით გააჩაღონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების საკითხებზე. ამასთან, ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატის შრომითი საქმიანობა, მოაწყონ კანდიდატების შეხვედრები საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში და სამხედრო ნაწილებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) უზრუნველყონ არჩევნების დღეს ამომრჩეველთა გამოცხადებისა და ხმის მიცემის შედეგების შესახებ ცნობების დროულად წარდგენა ზემდგომ ორგანოებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს ყველა საარჩევნო უბანი სატელეფონო კავშირით და არჩევნებთან დაკავშირებული ცნობების გადაცემა დროულად და ზუსტად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 16 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

243 გეგეჭკორის, ლაგოდეხისა და წყალტუბოს რაიონებში საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ნ. პ. შონიას მოხსენება გეგეჭკორის, ლაგოდეხის და წყალტუბოს რაიონებში საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებს გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ" 1958 წლის 28 ნოემბრის კანონის განხორციელების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ შემოწმებული რაიონების საკოლმეურნეო ტყეების საერთო ფართობები დიდია, გეგეჭკორის რაიონში — 13.701 ჰექტარი, წყალტუბოს რაიონში — 23.138 და ლაგოდეხის რაიონში — 3.971 ჰექტარი, კოლმეურნეობებს არ ჰყავთ მეტყევე სპეციალისტები და, ხშირ შემთხვევაში, არც ტყის მცველები. რის გამოც საკოლმეურნეო ტყეებში სწორად არ წარმოებს ტყის მეურნეობა და ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტყის დაცვას. ამ რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებს არ აქვთ ტყის მოწყობის მასალები.

ხე-ტყის დამზადება წარმოებს საექსპლუატაციოდ აკრძალულ კორომებში, არ იცავენ ტყის ჭრის დაწესებულ ნორმებს, არ ხდება ტყეკაფების წინასწარი გამოყოფა ხე-ტყის დასამზადებლად.

წყალტუბოს რაიონის საკოლმეურნეო ტყეებში 1964 წლიდან მოჭრილია 11.340 კუბ. მეტრი ხე-ტყე. ჭრა წარმოებდა ადგილად მისადგომ, სოფლებთან

ქარ. 1/4
ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოს მდებარე ტყის მასივებში და არა ტყის მოწყობით გათვალისწინებულ ტყეკაფებში.

ხშირია ტყის უნებართვო ჭრის შემთხვევები. მარტო გეგეჭკორის რაიონის საკოლმეურნეო ტყეებში უკანასკნელ სამ წელიწადში უნებართვოდ არის მოჭრილი 1.102 კუბ. მეტრი ხე-ტყე. მიუხედავად ამისა, სრულიად არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა ტყის ჭრის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ. ტყის უკანონოდ გაჩეხვის ყოველი შემთხვევა არ ხდება კოლმეურნეების, მშრომელთა კოლექტივების მსჯელობის საგნად, არ იქმნება მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი გაკიცხვის აზრი.

საკოლმეურნეო ტყეებიდან მიღებული შემოსავალი, როგორც წესი, არ ხმარდება ტყის აღდგენა-განახლებისა და ტყის დაცვის საქმეს. უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში გეგეჭკორის და წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებში რეალიზებულია 22.396 კუბ. მეტრზე მეტი ხე-ტყე, ხოლო მიღებული შემოსავლიდან არც ერთი მანეთი არ დახარჯულა ტყის აღდგენა-განახლებაზე.

საკოლმეურნეო ტყეებში არის შემთხვევები ტყის ფართობების ამოძირკვისა და სასოფლო-სამეურნეო სავაოგულად გადაყვანისა. ტყეში ზოგჯერ საქონელსაც კი აძოვებენ.

ასე მაგალითად: წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვენის საკოლმეურნეო ტყეში დიდი დაქანების ფართობზე ამოძირკულია და სხვა სახის სავარგულად არის გადაყვანილი 10 ჰექტარი ტყე, სოფელ ჟონეთის საკოლმეურნეო ტყიდან — 8 ჰექტარი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობაში — 15 ჰექტარი სატყეო ფართობი და სხვა.

კოლმეურნეობებს არ აქვთ ტყის კულტურების და სანერგეების გაშენების გეგმები. რაიაღმასკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკოლმეურნეო ტყეების მოვლა-პატრონობას. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმული საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი. საბჭოს სხვებზე, აღმასკომის სხდომებზე იშვიათად იხილება სპეციალურად საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს გეგეჭკორის, ლაგოდეხისა და წყალტუბოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) გააძლიერონ კონტროლი საკოლმეურნეო ტყეების დაცვასა და ტყის მეურნეობის წარმოებაზე. ტყის დაცვისა და ტყის მეურნეობის წესების დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დატოვონ რეაგირების გარეშე და დამნაშავეთა მიმართ მიიღონ სათანადო ზომები;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ ხე-ტყის ჭრა-დამზადება წარმოებდეს ტყის მოწყობით გამოყოფილ კორომებში. ამასთან ტყეკაფების შერჩევა უნდა ხდებოდეს მეტყევე სპეციალისტების დასკვნით და უშუალო მონაწილეობით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომებს რჩევა მისცენ კოლმეურნეობების გამგეობებს:

ა) სატყეო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად და ტყეების დასაცავად გამოყონ საკოლმეურნეო მეტყევე და ტყის მცველები. აღნიშნულ სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაოზე გამოიყენონ შესაბამისი სპეციალობის და ცოდნის მქონე პირები. ბ) კოლმეურნეო ტყეებიდან მიღებული შემოსავალი მოახმარონ ტყის აღდგენა-განახლებისა და ტყის დაცვის საჭიროებას;

ბ) კატეგორიულად აკრძალონ სატყეო ფართობების სხვა სახის საკარგულად გადაყვანა, თუ ეს არ გაფორმდება არსებული წესით;

გ) არ დაუშვან პირუტყვის ძოვება იქ, სადაც ტყის კულტურებია გაშენებული, ტყესაცავ ზოლებში და ძოვებისათვის აკრძალულ ფართობებზე. აგრეთვე იქ, სადაც ტარდება ტყის ბუნებრივი განახლება;

დ) ტყის კულტურების გაშენების, სანერგეების მოწყობის და სხვა სატყეო-სამეურნეო სამუშაოები ყოველწლიურად გითვალისწინონ მეურნეობების საწარმოო გეგმებში;

ე) სატყეო მეურნეობის სპეციალისტების დახმარებით ტყის ხანძარსაშიშ პერიოდთან დაკავშირებით შეადგინონ ხანძარსაწინააღმდეგო ოპერატიული და სამობილიზაციო გეგმები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს განსაკუთრებული კონტროლი და დახმარება გაუწიონ საკოლმეურნეო ტყეების დაცვასა და მოვლა-პატრონობის საქმეს, უზრუნველყონ კოლმეურნეობები ტყის მოწყობის დოკუმენტაციით. სათანადო ზედამხედველობა გაუწიონ ტყის მოწყობით გათვალისწინებული სამუშაოების სწორად წარმართვას.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი დიდი ფართობის საკოლმეურნეო ტყის მასივების, სათანადო წესის დაცვით, სახელმწიფო ტყეების ფონდში გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის კომისიის წინადადებანი ტყის უნებართვო ჭრებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, ქალაქთა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეისწავლონ საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საკითხი და გახადონ იგი საბჭოების სესიების მსჯელობის საგნად. ამ საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოების დეპუტატები. მუდმივი კომისიები და აქტივი. ამასთან რადიოს, პრესისა და ლექციათ-მოხსენებების საშუალებით მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ ტყის, როგორც ბუნების დიდი სიმდიდრის მნიშვნელობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 16 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

244 რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა სახალხო განათლების და კულტურის მუდმივი კომისიის წევრის დეპუტატ უ. მ. ჯაფარიძის მოხსენება რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ და აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული. ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, შემცირდა სკოლიდან განთესილ ბავშვთა რაოდენობა, გაუმჯობესდა მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიები და აღმასკომების სხდომები სისტემატურად იხილავენ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მიმდინარეობას და იღებენ საჭირო ზომებს იმ ბავშვთა სკოლაში დასაბრუნებლად, რომლებმაც სწავლა მიატოვეს.

სკოლებში შემცირდა მეორეწლიანთა რაოდენობა.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთ რაიონსა და ცალკეულ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონი. სწავლაში ჩაბმული არ არის ყველა ბავშვი. ასეთი მდგომარეობაა თბილისის პირველი მაისის და კიროვის რაიონებში, ახმეტის, ახალციხის, ახალქალაქის, დმანისის, ჩხოროწყუს, კასპის, თიანეთის და სხვა რაიონებში.

შემოწმებით დადასტურდა, რომ 1967 წლის 1 იანვრისათვის ახმეტის რაიონში სკოლის გარეთ იყო დარჩენილი 48 ბავშვი, ბათუმის რაიონში — 13, მარნეულის რაიონში 1966 წლის 1 სექტემბრის შემდეგ სკოლას ჩამოშორდა 7—15 წლის ასაკის 86 ბავშვი.

ჯერ კიდევ დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სკოლას ტოვებენ რვა კლასის დამთავრებამდე. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ზოგიერთ რაიონში სკოლები დიდი მანძილითაა დაშორებული ბავშვების საცხოვრებელი ადგილიდან. მაგალითად, ბოლნისის რაიონის სოფელ პატარა დარბაზის დაწყებითი სკოლა 25 კილომეტრით არის დაშორებული უახლოეს რვაწლიან სკოლას. სოფელ ფოლადაურის დაწყებითი სკოლა — 10 კილომეტრით. ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის, თიანეთის, დმანისის და სხვა რაიონებში.

დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლაში კვლავ ჩამორჩება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არ არის საკმარისი სასკოლო ინტერნატებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელი, რის გამოც სწავლის საშუალება არა აქვს ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბევრ ბავშვს.

მცირე რაოდენობითაა აგრეთვე გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები. მაგალითად, ქ. თბილისის კალინინის რაიონში გახანგრძლივებული დღის სკოლა არ არსებობს, რაიონის მხოლოდ 8 სკოლასთან შექმნილია გახანგრძლივებული დღის ჯგუფები 358 მოსწავლისათვის, მოთხოვნა ასეთ ჯგუფებზე დიდია.

ყველგან. არაა ათვისებული საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და განუხრელად განახორციელოს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონი. ამ ღონისძიების შესასრულებლად მტკიცედ დარაზმოს სკოლები, პედაგოგიური კოლექტივები, მშობელთა კომიტეტები და მთელი საზოგადოებრიობა;

ბ) უზრუნველყოს რვაწლიან სწავლებაში ბავშვთა და მოზარდთა უკლებლივ ჩაბმა;

გ) მიიღოს გადამჭრელი ზომები სკოლებში სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, სოლებიდან ბავშვთა განთესვისა და მეორეწლიანობის მიზეზების აღმოფხვრისათვის;

დ) ქმედითი ზომები მიიღოს იმისათვის, რომ მოძავალი სასწავლო წლიდან მნიშვნელოვნად გაზარდოს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, აგრეთვე სასკოლო ინტერნატების ქსელი.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ა) გააძლიერონ მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის მუშაობა იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც მიმართული იქნება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მიიღონ ზომები, რომ საარჩევნო ოლქებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში სისტემატურად იყოს ადგილობრივი საბჭოს ყველა დეპუტატი და მიაღწიონ იმას, რომ არც ერთი ბავშვი და მოზარდი არ დარჩეს სკოლის გარეშე;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებას. მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

3. **მშრომელთა** დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა სახალხო განათლების ორგანოებთან, პედაგოგიურ კოლექტივებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად:

ა) გააუმჯობესონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშობლებთან, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა ბავშვთა შორის, აამაღლონ სკოლისგარეშე დაწესებულებათა საქმიანობა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს:

ა) სოფლად სკოლებიდან დაშორებით მცხოვრები ბავშვების სწავლებაში ჩაბმის მდგომარეობა;

ბ) სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებისა და არსებულის რეონტისათვის საათანადო თანხების გამოყოფის საკითხი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილი) 1967 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინოს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 16 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

/0406

245 რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების და მათთვის ჯილდოების ჩაბარების 1966 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებმა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1966 წელს გარკვეული მუშაობა გასწიეს მრავალშვილიანი დედების აღრიცხვის, ჯილდოზე წარდგენის და მათთვის ორდენებისა და მედლების დროულად ჩაბარების საქმეში.

სულ, გასულ წელს, რესპუბლიკაში დაჯილდოდა 6.114 მრავალშვილიანი დედა, რომელთაც შობეს და აღზარდეს 5 და მეტი შვილი, რაც შეადგენს დასაჯილდოებელი კონტინგენტის 70,3%-ს. 61 მრავალშვილიან დედას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა „გმირი დედის“ საპატიო წოდება. 955 დედა დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და 3.342 კი — „დედობის მედლით“. გარდა ამისა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — 768 დედა, ხოლო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — 743 დედა დაჯილდოვეს შესაბამისი ორდენებითა და მედლებით. ჯილდოების ჩაბარება ძირითადად ეწყობოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 31 დეკემბრის ინსტრუქციით დაწესებულ ვადებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმე კარგად არის დაყენებული ქალაქ ქუთაისში, ვანის, გორის, გურჯაანის, კასპის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, სიღნაღის, ხობის და ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომს მრავალშვილიანი დედების აღრიცხვა-დაჯილდოების საქმეში გაჩნია ნაკლოვანებანი. რიგ რაიონში ცუდადაა დაყენებული მრავალშვილიანი დედების აღრიცხვა, დასაჯილდოებელი საბუთების შედგენა და გაფორმება. წითელწყაროს რაიაღმასკომმა დასაჯილდოებლად წარმოადგინა ორი მრავალშვილიანი დედა, მაზანაშვილი და მახმად ყზი, როგორც 6 შვილის დედები, მაშინ როცა მათ შვიდ-შვიდი შვილი ჰყავთ. ლაგოდეხის რაიაღმასკომმა ორჯერ წარმოადგინა ჯილდოზე მრავალშვილიანი დედები გიგოლაევი და ბაგაევი. ანალოგიურ ფაქტს ადგილი ქონდა ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომშიც.

რიგმა რაიონმა გასულ წელს დასაჯილდოებლად არ წარმოადგინა დედები, რომლებსაც დებულების თანახმად, ჯილდო ეკუთვნოდათ. ასე მაგალითად: ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომმა არ წარმოადგინა 89 მრავალშვილიანი დედა, ბოგდანოვკამ — 52, ბოლნისმა — 163, გარდაბანმა — 194, ზუგდიდმა — 66, ლაგოდეხმა — 132, მარნეულმა — 270, ლენტეხმა — 51, თეთრიწყარომ — 44 და წალკამ — 206 მრავალშვილიანი დედა.

ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა დედებისათვის ჯილდოების საზეიმო ვითარებაში ჩაბარებას, ამ ღონისძიებისათვის არ იყენებენ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებს და სხვა საზოგადოებრივ შეკრებებს. მარნეულში, ბოლნისში და ზოგიერთ სხვა რაიონში დაგვიანებით ბარდებათ მრავალშვილიან დედებს ორდენები და მედლები, ხოლო ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომმა ერთი წლის განმავლობაში ვერ ჩააბარა „გმირი დედის“ საპატიო ჯილდო ათი შვილის დედას ამიროვას.

მრავალშვილიანი დედების აღრიცხვა-გამოვლინების, მათთვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დროულად დანიშნისა და გაცემის, შესაბამის ჯილდოზე წარდგენისა და ჯილდოების დროულად ჩაბარების საქმეში ნაკლებადაა ჩაბმული სადაბო და სასოფლო საბჭოები, დეპუტატები და სოფლის აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

ა) განიხილონ მრავალშვილიანი დედების აღრიცხვა-დაჯილდოების მდგომარეობა და მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ჯილდოზე წარდგენის დროს გაითვალისწინონ, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდება დედა შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს და არ დაუშვან დაჯილდობა ისეთი დედისა, რომელიც თავისი საქმიანობით და ბავშვებისადმი სამაგალითო მზრუნველობით არ იმსახურებს ამ საპატიო ჯილდოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ ზომები დასაჯილდოებელი დედების კონტინგენტის დასაზუსტებლად და შესაბამის ჯილდოზე დროულად წარსადგენად;

გ) უზრუნველყონ დაჯილდოებული დედებისათვის ორდენებისა და მედლების დროულად ჩაბარება საზეიმო ვითარებაში, რისთვისაც მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 31 დეკემბრის ინსტრუქციით;

დ) ფართოდ ჩააბან მრავალშვილიანი დედების აღრიცხვა-გამოვლინების, დაჯილდოების და მათი სამუშაო-საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატები, აქტივი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილებას (ამხ. პ. ცაგარეიშვილი) თვალყური ადევნოს აღნიშნული დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

246 ამხ. მ. ფ. ჩხეიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ფილიპეს ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 21 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

247 ამხ. ვ. ნ. სორდიას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ვახტანგ ნესტორის ძე **სორდია** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 21 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

248 საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. ნინო ვლადიმერის ასულ **ლორთქიფანიძეს** — ანსამბლის სოლისტს.
2. მარინა ალექსანდრეს ასულ **მხეიძეს** — ანსამბლის სოლისტს.
3. ვლადიმერ იასონის ძე **ყუფარაძეს** — ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. ვალერიან ემელიანეს ძე **კალანდაძეს** — რეჟისორს.
2. გიორგი (გივი) იოსების ძე **სურვილაძეს** — რეპეტიტორ-ბალეტმეისტერს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. შოთა ილიას ძე **ბიბილურს** — ორკესტრის მსახიობს.
2. ნოდარ პეტრეს ძე **გიორგაძეს** — ანსამბლის სოლისტს.
3. იამზე ვლადიმერის ასულ **დოლაბერიძეს** — ანსამბლის სოლისტს.
4. ლეილა მიხეილის ასულ **დუმბაძეს** — ანსამბლის მსახიობს.
5. თამაზ ოლიფანტეს ძე **კიკალიშვილს** — ანსამბლის სოლისტს.
6. ფრიდონ სილიბისტროს ძე **სულაბერიძეს** — ანსამბლის სოლისტს.
7. თენგიზ ვარლამის ძე **უთმელიძეს** — ანსამბლის სოლისტს.
8. გიორგი შალვას ძე **შენგელიას** — ანსამბლის სოლისტს.
9. შოთა ბაგრატის ძე **ხოფერიას** — ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 6 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

249 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, თეატრის დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. ირაკლი (ჯანო) კონსტანტინეს ძე **ბაგრატიონს** — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფს.
2. შოთა ალექსანდრეს ძე **კიკნაძეს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.
3. ვახტანგ დავითის ძე **ნინუას** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.
4. ვახტანგ ვალერიანის ძე **ტაბლიაშვილს** — რეჟისორს.
5. სალომე ალექსანდრეს ასულ **ყანჩელს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.
6. ანასტას თევდორეს ძე **ჩიკალიდს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. სერგო ლუკას ძე **გერსამიას** — თეატრმცოდნეს.
2. იასონ მაქსიმეს ძე **დარსანიას** — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს.
3. სიმონ ლუკას ძე **კალანდარიშვილს** — ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს.
4. ალექსანდრე (ბუხუტი) სარდიონის ძე **მაღლაკელიძეს** — რეჟისორს, პენსიონერს.
5. შალვა ალექსის ძე **მუავანაძეს** — რეჟისორს.
6. ეფრემ დავითის ძე **შაფთოშვილს** — თბილისის მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის რეჟისორ-დამდგმელს.
7. დავით ალექსანდრეს ძე **ჩიკვაიძეს** — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის დირექტორს.
8. შალვა კონსტანტინეს ძე **წერეთელს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორის თანაშემწეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალაზნისპირელს** — მსახიობს, პენსიონერს.
2. ნიკოლოზ ზაალის ძე **ანდრონიკაშვილს** — მსახიობს, **თბილისის მხატვრული** თვითმოქმედების **კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ანა მიხეილის ასულ **ანდღულაძეს** — მახარაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

4. თენგიზ გრიგოლის ძე **არჩვაძეს** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

5. არჩილ ივანეს ძე **ბუთხუზს** — მსახიობს, პენსიონერს.

6. რევაზ მირონის ძე **გორგიძეს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

7. გიორგი კონსტანტინეს ძე **დარგაჩოვ-კირსანოვს** — თბილისის მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობს.

8. სურენ ტიგრანის ძე **ეგიაზარიანს** — ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის მსახიობს.

9. იზოლდა ივანეს ასულ **ელისაშვილს** — თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.

10. თენგიზ დიმიტრის ძე **ზაალიშვილს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

11. ჯიმშერ გრიგოლის ძე **მაჭარაძეს** — თბილისის თოჯინების ქართული თეატრის მსახიობს.

12. ივანე დავითის ძე **მიქაიშვილს** — ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

13. გიორგი ლევანის ძე **პაპოშვილს** — თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

14. ვალენტინა ივანეს ასულ **სიომინას** — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

15. პოლიკარპე ზაქარიას ძე **სუხიშვილს** — ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

16. ლუბა ნესტორის ასულ **უგულავას** — ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

17. ნიკოლოზ მიხეილის ძე **ქამუშაძეს** — ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

18. ჯემალ ერმილეს ძე **ღაღანიძეს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

19. გივი ზაქარიას ძე **ციცქიშვილს** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრისა:

დამიანე ნესტორის ძე **ჯიჭონაიას** — ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის მხატვარ-დეკორატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1967 წლის 7 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

250 ამხ. კ. ბ. პტიცასათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის პროპაგანდის საქმეში დამსახურებისათვის საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდის მხატვრულ ხელმძღვანელს ამხ. კლავდი ბორისის ძე **პტიცას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

251 ამხ. ლ. ვ. ერმაკოვასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის პროპაგანდის საქმეში დამსახურებისათვის საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდის ხორმეისტერს ამხ. ლიუდმილა ვლადიმერის ასულ **ერმაკოვას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

252 ამხ. ბ. ი. გიგოლაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გიორგი ივანეს ძე **გიგოლაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 7 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

253 ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საგუნდო და ვოკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის** საპატიო წოდება:

1. ილია ალექსანდრეს ძე **ასათიანს** — ანსამბლის სოლისტს.
2. ავთანდილ ალექსანდრეს ძე **ბუგიანიშვილს** — ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

254 საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 6 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

255 საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. მანანა ლევანის ასული **აბაზაძე** — მსახიობი.
2. ლიანა შალვას ასული **აბრამიშვილი** — მსახიობი.
3. ანზორ სერგოს ძე **ა'ლანიშვილი** — ორკესტრის მსახიობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ზაირა გიორგის ასული **ბასილაშვილი** — მსახიობი.
5. ჯუმბერ ვიქტორის ძე **ბერაძე** — მსახიობი.
6. შოთა იოსების ძე **გიგაური** — მსახიობი.
7. ინგა ბორისის ასული **თევზაძე** — მსახიობი.
8. ბახშო აკოფის ძე **იაგუტოვი** — ორკესტრის მსახიობი.
9. როსტომ მიხეილის ძე **იაშვილი** — მსახიობი.
10. სოფიო გიორგის ასული **იაშვილი** — მსახიობი.
11. ნანა დავითის ასული **კვაჭანტირაძე** — მსახიობი.
12. ნინო მიხეილის ასული **კირვალიძე** — მსახიობი.
13. ნინო ჩამლის ასული **მერაბოვა** — გარდერობის გამგე.
14. ილია ლევანის ძე **მეტრეველი** — ორკესტრის მსახიობი.
15. თენგიზ ნიკოლოზის ძე **მინდიაშვილი** — მსახიობი.
16. ანზორ სერგოს ძე **ნიკოლეიშვილი** — მსახიობი.
17. გულდამი ვასილის ასული **ნიუარაძე** — მსახიობი.
18. ნინო შალვას ასული **რამიშვილი** — ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.
19. ილია ილიას ძე **სუხიშვილი** — ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.
20. ლატავრა ალექსანდრეს ასული **ფოჩიანი** — მსახიობი.
21. დავით ევგენის ძე **ქველიძე** — მსახიობი.
22. მილერი შალვას ძე **ცირიკიძე** — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 6 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

256 ამხ. შ. დ. ალაპიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. შალვა დიმიტრის ძე **ალაპიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 7 თებერვალი.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

257 ამხ. ბ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. ბეჟან ალექსანდრეს ძე **ჩხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1967 წლის 9 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

258 არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელი მასების სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, სახალხო მეურნეობისათვის ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1967 წლის 11 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

259 არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. მიხეილ ანდრიას ძე **ბუსკაძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სიმონ სიმონის ძე **ვერხოვსკი** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქალაქ ბათუმის რადიოკლუბის გამგე.

3. ვარლამ დიანოზის ძე **კაკაურიძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის · ოქტომბრის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

4. ნიკოლოზ ივანეს ძე **კობალავა** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების უფროსი.

5. პავლე გიორგის ძე **კუპატაძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

6. ალექსი ილიას ძე **ლომაია** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქალაქ ცხაკაიას ავტომოტოკლუბის უფროსი.

7. ომარ დავითის ძე **მუსერიძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე.

8. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **პროზოროვი** — ქალაქ თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

9. თომა ბარამის ძე **ტაბატაძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

10. გიორგი გიორგის ძე **უტიაშვილი** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების გურჯაანის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

11. ოთარ პეტრეს ძე **ღაჭავა** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქალაქ რუსთავის ავტომოტოკლუბის გამგე.

12. ლევან დავითის ძე **შარაშენიძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ზესტაფონის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

13. ქეთევან ვასილის ასული **შენგელია** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

14. თენგიზ დავითის ძე **ჩხაიძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის რესპუბლიკური ავტომოტოკლუბის უფროსის მოადგილე.

15. თენგიზ გალაქტიონის ძე **ჭლიკაძე** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ვიქტორ სოლომონის ძე **ხიზანიშვილი** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თელავის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

17. ლევან პეტრეს ძე **ჯატიევი** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცხინვალის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

18. ანატოლ ანდრიას ძე **ჯაფარიძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სოხუმის ავტომოტოკლუბის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 11 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

260 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგუნდო და ვოკალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ნიკოლოზ სედრაკის ძე **ბარხუდაროვი** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ადმინისტრატორი.

2. მათე ნაუმის ძე **გოლდბერგი** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობი.

3. შალვა ივანეს ძე **დოლიძე** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტ-სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი კულტმასიური მუშაობის დარგში.

4. მიხეილ ნიკოლოზის ძე **კორჩაიძე** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობი.

5. ალექსანდრე ივანეს ძე **კუდრენკო** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 24 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

261 ამხ. ა. ბ. კოტელენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გადამდგარი პოლკოვნიკი ალექსი პავლეს ძე **კოტელენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

262 ამხ. ვ. ბ. ლისინოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გადამდგარი გენერალ-მაიორი ვიქტორ ბოგდანის ძე **ლისინოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 28 თებერვალი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში

გაიმართა სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ მოისმინა თავმჯდომარის — დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოხსენება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან ბავშვთა და მოზარდთა განთესვის მდგომარეობის შესახებ და კომისიის წევრის დეპუტატ უ. ჯაფარიძის მოხსენება სასკოლო ინვენტარის მდგომარეობის შესახებ.

საკითხების განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა, ქ. ნადირაძემ, განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უ. ობოლაძემ, ამავე სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსმა ს. არველაძემ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა რ. აგაბაბიანმა, დოცენტმა ო. ასათიანმა, უფროსმა მასწავლებელმა გ. ლობჯანიძემ, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო განყოფილების უფროსმა ამხ. პ. ღვალაძემ და სხვებმა.

მუდმივმა კომისიამ აღნიშნული საკითხები განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 16 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 395 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქი	თბილისი	— 27
„	ქუთაისი	— 6
„	ჭიათურა	— 30
„	ტყიბული	— 5
„	ფოთი	— 2
„	რუსთავი	— 10
ახალციხის	რაიონი	— 8
ბოგდანოვკის	„	— 21
ბოლნისის	„	— 94
ბორჯომის	„	— 3
გეგეჭკორის	„	— 11
გორის	„	— 13
ვანის	„	— 22
ზესტაფონის	„	— 8
ზუგდიდის	„	— 9
თეთრიწყაროს	„	— 17
თელავის	„	— 5
თიანეთის	„	— 6
მაიაკოვსკის	„	— 14
მცხეთის	„	— 5
საჩხერის	„	— 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღის	რაიონი	— 2
ყვარლის	„	— 15
ცხაკაიას	„	— 4
წალენჯიხის	„	— 10
წულუკიძის	„	— 4
ხაშურის	„	— 7